ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2200624

ნომერი: AR1337841

თარიღი : 27.08.2015

გაცემის თარიღი : 22.09.2015

გაცნობის თარიღი : 22.09.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , ნაკვეთი 03/106 / ქალაქი თბილისი , შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ, (ნაკვეთი 03/077) / ქალაქი თბილისი , ოქროყანა , ნაკვეთი 03/027 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალი გაჯიევი პ/ნ 01020009037
- თბილისი დ.ჟღენტის ქ. N 130

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 27/08/2015წ. AR1337841 განაცხადით მომართა ალი გაჯიევმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 24.07.2015წ. №2030139 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 24.07.2015წ. №2030139 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი–მთაწმინდა, დასახლება ოქროყანა, ნაკვეთი 03/106 / შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ (ნაკვ. N03/077)/ ქ. თბილისი, ოქროყანა ნაკვეთი N03/027, სს "სისთემ ინშაათ–ის წარმომადგენლობა საქართველოში სისთემ ინშაათ–ჯორჯიას" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.01.002.005) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, -3.30 ნიშნულზე ბინა #1 წარმოადგენს საზაფხულო ფართს რომელიც უდრის 117.95კვ.მ–ს. ქვედა სართულში კი განთავსებულია 23.20კვმ ავტო ფარკინგი, რომლიდანაც 3.15კვმ.–ზე დაგებულია დეკორატიული ფილები, ხოლო 91.60კვმ წარმოადგენს ხელოვნური გამწვანების საფარით დაფარულ ფართობს. აღნიშნულის გამო დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 24.07.2015წ. №2030139 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ) 1489.45; საერთო ფართობი (კვ.მ) 11174.31.
საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს. მოთხოვნის დაკმაყოფილება გულისხმობს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტში ისეთი ცვლილების განხორციელებას, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 63-ე მუხლის თანახმად, საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას. ამდენად, თუ განმცხადებელს სურს ცვლილების განხორციელება წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, აღნიშნული საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას.